

XIX საუკუნის ქართული საისტორიო აზრის მრავალმხრივი კლასიფიკაციის შესახებ

ქართული სამეცნიერო-საზოგადოება სწორად მსჯელობდა ერისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსა და მისი ფორმირებისათვის აუცილებელ პირობებზე. ისტორიკოსთაგან ერთ-ერთი პირველი შევხო საკითხს ს. ბარათაშვილი. მან ერების ჩამოყალიბება გეოგრაფიული გარემოთი და ტომობრივი (ფიზიოლოგიური) კავშირით ახსნა. ერისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა და მისი ფორმირებისათვის საჭირო გარემოებების – ფაქტორების სპექტრი სრულადაა წარმოდგენილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოაზროვნეთა სათანადო ნაშრომებში.

იტყვავაძე პირველხარისხიან მნიშვნელობას ენიჭებს, სარწმუნოებისა და ისტორიის ერთობას ანიჭებს. აღნიშნავს ხალხის ფსიქოლოგიური განწყობის როლსაც – “ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა სწრაფვა, თავისი ღირსება” [6,418-419]. ასევე დიდია კულტურის, ტერიტორიისა რასობრივ-ანთროპოლოგიური ერთობის მნიშვნელობა.

ილიას აზრით, დიდია ისტორიის – საერთო წარსულის როლიც ხალხის შეგავშირებისა და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებების ჩამოყალიბებისას – “არც ერთობა ენისა, – წერს ის, – არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამჯიღრობს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ღზინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულებით ძლიერია” [6,309].

იგივე უწყობს ხელს ისეთი აუცილებელი ფუნქციის ჩამოყალიბება-განვითარებას, როგორცაა ეროვნული თვითშეგნება – “ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს”.

ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებისათვის (რასაც იმ ეტაპზე პრაქტიკული დატვირთვაც ენიჭებოდა), აგრეთვე, ერის ფსიქიკურ თავისებურებებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ისტორიის მნიშვნელობას გადაუჭარბებლად აფასებდნენ ი. გოგებაშვილი [1,216] და ვაჟა-ფშაველა. „ყველა ერს, – წერს ვაჟა, – რომელსაც მართლა ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს ისტორიული იდეალი. წარსულის დროის სიკეთე, ქველობა თუ გმირობა აღაფრთოვანებს, ასულდგმულებს აწმყო დროის ერს, ამხნევებს და კარგი მგრძნისის მოპოვების წადილს უჩენს გულში. . . დაღუპულია ის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც წინ ხატად არ უდგას საკუთარი ისტორიის ანდერძი” [2,189-190]. ასევე დიდია, მათი სწორი აზრით, საერთო ენის, ტერიტორიისა და ეროვნული კულტურის როლი. უდავოდ პროგრესულია იაკობის თვალსაზრისი, რომ კულტურათა დაწინაურების ხარისხში სხვაობა არ გეაძლევს უფლებას მის გარეშე წარმოვიდგინოთ რომელიმე ერი.

ერის ქმნადობისათვის ხალხის ტერიტორიულ ერთობასა და ეთნიკურ ერთგვაროვნებას, აგრეთვე, ცალკეული ერებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური (სპეციფიკური) ნიშან-თვისებების შენარჩუნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გ. წერეთელი. მას მიაჩნია, რომ ერი ყალიბდება განსაზღვრულ ფიზიკურ და ისტორიულ გარემოში, მასში მიმდინარე პროცესების ზემოქმედებით: „ნაცია, ანუ ერთი ტომის ხალხი ეწოდება იმ ნაწილს კაცობრიობისას, რომელიც ცხოვრობს ერთს რომელსაზე მხარეში დედამიწის ზურგზე. ის იმყოფება რამდენიმე ათასი წლით ერთსა და იმავე ბუნების გავლენაში. ამის გამო მიუღია შესაფერი აგებულება, ჭკუა-გონება და შეუძენია ამ ჭკუა-გონების გამომთქმელი თავისებური ენა. . . ეს თვისებები არიან მოუცილებელი, ურომლებოთაც ხალხის თვითარსი ცხოვრება შესაძლებელი არ არის. წაართვი იმას ერთი ზემოთ ხსენებული თვისებათაგანი და ის ხალხი ან სულ გადაგვარდება და ან მოკვდება” [5,137].

ანალოგიურია ა. წერეთლის პოზიცია. მისი აზრით, „სამშობლოს მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთიანი თავგადასავალი“, საერთო რელიგია და კულტურა აყალიბებს ერს [4,395]. ხოლო ერის ხასიათის თავისებურების, მისი ფსიქიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდია (განმსაზღვრელიც არის) ბუნებრივი გარემოს როლი, რომლის ზემოქმედებისას, აკაკის აზრით, “ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მიხრა-მოხრა, გამოთქმის კილო, გამომეტყველება და სხვანი”.

განსხვავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე წყვეტდნენ ერის პრობლემას ქართველი მარქსისტები. ისინი პირველი რიგის მნიშვნელობას ეკონომიკურ პირობებს ანიჭებდნენ და მას უქვემდებარებდნენ ნათესაობისა და სარწმუნოებრივი ერთგვაროვნების ასპექტებს. ამ შემთხვევაში ერი კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობებით (კერძოდ, ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობებით) განსაზღვრულ კატეგორიად აღიქმება.

თერგდალეულთა განსხვავებული პოზიცია, გარდა ზემოთ მოხმობილი ავტორების თვალსაზრისისა, კარგად იკითხება ვაჟა-ფშაველასა [2,189-190] და ს. მესხის [3,2] შეხედულებებში. მათ ერი გამოპყავთ ისტორიის შორეულ პერიოდებში ჩამოყალიბებულ ნაციონალურ უჯრედთა წიაღიდან, რომელთა არსებობაზე (ჩამოყალიბება, განვითარება, სიცოცხლისუნარიანობა) გადაწყვეტ გაგლენას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ფორმაციათა ხასიათის ცვალებადობა.

საკითხის გრძელ მიმოხილვას, ორიგინალურ ახსნას იძლევა არჩ. ჯორჯაძე (ეროვნების საკითხის განმარტების გამო). ის მიუთითებს ხალხის ცნობიერების დაწინაურების (გვარტომობრივი კონსოლიდაციის მიზანშეწონილობის შეგნება), სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარემოს, აგრეთვე, საგარეო საფრთხის ზრდის შემთხვევით მნიშვნელობაზე. მაგრამ გადაწყვეტ ფაქტორად მაინც სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობას თვლის: „არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ მჭონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენია არც ამ ელემენტებს ერთად აღებული. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო ერთგვარი ძალა. საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქეფვის, ჩაქირვისა

და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო. ამ მოსაზრებით უკავშირდება არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის ჩამოყალიბებას ერთიანი სახელმწიფოსა და მმართველობის სისტემის (ერთმეფობა) შექმნას: „... ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად მტკიცდება საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით, აქ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადაბმულნი... მთავარი ძალა ქართული ეროვნების ჩასახვისა და განვითარებისა ძველ დროში ერთმეფობა იყო“.

სახელმწიფოს როლს ერის ქმნადობის თვალსაზრისით აღიარებს მიხ. წერეთელი. არ უარყოფს რა ეთნიკური ნათესაობის, ერის კულტურის, რელიგიის მნიშვნელობას, მთავარ ფაქტორად იგი მტკიცე პოლიტიკურ ორგანიზაციას თვლის. ა. ჯორჯაძისა და მ. წერეთლის პოზიციაში იგრძნობა სხვაობაც. მიხ. წერეთელს სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობა ერის ფორმირების ეტაპზე მიაჩნია, დიდმნიშვნელოვნად და არა მისი შემდგომი არსებობისათვის: „როდესაც კი ხალხის სხვადასხვა ნაწილები, პოლიტიკურად და სხვა მხრივაც დამოუკიდებელი, თითქმის ცალკე, მაგრამ მონათესავე სოციალური ორგანიზმები ერთიანდებიან ერთ დიდ სოციალურ ორგანიზმად – ერთიანი ენითა, სარწმუნოებითა, სამართლითა და პოლიტიკით – მაშინ ხალხი ხდება ერთი. იგი სახელმწიფო ორგანოების საშუალებით აარსებს ასეთს გაერთიანებულ საზოგადოებას; და მას შემდეგ მან კიდევ რომ დაეკარგოს პოლიტიკური და იურიდიული ორგანო თავისი საზოგადოებისა, იგი მაინც ერთად რჩება, რადგანაც ერთობა უკვე ჰქონია, იგი უკვე ყოფილა გაერთიანებული კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმში“. ამ გამონათქვამის ბოლო ნაწილში, შეიძლება, მ. წერეთლის ანარქისტული მრწამსი იჩენს თავს, თუმცა აზრი მთლიანობაში სადავო არ არის.

ა. ჯორჯაძისა და მ. წერეთლის კონცეფციების რიგი ასპექტები თერგდალეულთა შეხედულებების თანმხედრია და ერისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა სწორ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი გაერთიანების როლს, მისი მნიშვნელობა უდავოდ დიდია, მაგრამ არა აბსოლუტური, როგორც ეს მათ (განსაკუთრებით – ჯორჯაძეს) ესმით.

ქართველ სწავლულთა შეხედულებები ერის ფენომენთან დაკავშირებულ საკითხებზე, გარდა ორიგინალური ნაშრომებისა, გარკვევით იკითხება უცხოელი მოაზროვნეების გამოკვლევათა, მათ მიერ შესრულებულ მიმოხილვებში.

მ. ჯანაშვილი საინტერესო ინტერპრეტაციებით გადმოგვცემს ფრანგი მეცნიერის ლეონის თვალსაზრისს (9, 46). იგი ერისათვის დამახასიათებელ ნიშანდ მიიჩნევს საზოგადოების ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ მხარეთა ერთობლიობას. მისი აზრით (რომელიც ემთხვევა ლეონის პოზიციას), ცალკეულ ერთა ინდივიდუალიზმი განისაზღვრება არა მატერიალური პირობებითა და ფიზიოლოგიური მონაცემებით, არამედ სულიერ მხარეთა არაერთგვაროვნებით, რაც გააგებულია უცვლელ სუბსტანციად, მარადიულ კატეგორიად – მატერიალური გარემოსაგან განსხვავებით. „ხალხი ეროვნებად რომ გადაიქცა, – წერს ის, – მის შემდეგ მისი სულიერი მიწა-წყალი, საზოგადოდ, აღარ იცვლება, არამედ მასთან შეხორცებულია ცხოვრობს, შარავანდობს და კვდება. დიად, ცვალებადია არა თვითონ ნიშან-წყალი, სული ეროვნებისა, არამედ ზოგიერთი მეორეხარისხოვანი წვლილი ამ ნიშან-წყალისა.“

ამ სულიერ დეტერმინს კი შესაბამის ტრადიციათა ერთობლიობა აყალიბებს. „ჩვენს მოქმედებას განსაზღვრავს სამმაგი ზემოქმედება იმ წრისა, სადაც მიმდინარეობს აწმყო დროის ჩვენი ცხოვრება. ჩვეულებრივ პიქტობენ, რომ, ვითომ, ზემოქმედება წრისა, ე. ი. ბუნებისა, ეკონომიკურ პირობათა, პოლიტიკურისა და სხვათა და სხვათა მეტად მძლავრიად, მაგრამ ნამდვილად კი, ეს ასე არ არის. წრის ზეგავლენას დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ხალხის ეროვნებად დასახვამდე.“

ერნ. რენანის თვალსაზრისზე დაყრდნობით (ნაშრომი „დედა აზრი მამულისა“), პ. მირიანაშვილი ერს თვლის ზნეობრივ ინდივიდუალობად, რომლის არსებობისთვისაც აუცილებელი არაა სარწმუნოებრივი თუ ეთნიკური (ნათესაობრივი) კავშირები, ან განსახლების გეოგრაფიულ-ტერიტორიული განსაზღვრულობა. „უძნაოერესი ფაქტი განმახასიათებელი მოვლინება გრძნობათა და აზრთა ერთობა არის; ყველა ინდივიდუულისაგან განუწყვეტლივ განახლებული სურვილი საერთო ცხოვრების დაცვისა და განგრძობისა...“ [9, 46], – წერს იგი.

პ. მირიანაშვილი, რომელიც იშველიებს შ. ბიგოს მოსაზრებას, ხსენებულ ფაქტორებს უმატებს პოლიტიკური ორგანიზაციის (სახელმწიფოებრივი-ინსტიტუციონალური ფორმით) ფაქტორს, თუმცა იგი არ გულისხმობს მის გარდაუვალობას და მას ხალხის ეთნიკური და პოლიტიკური კონსოლიდაციის ფუნქციას აკისრებს [9, 52].

ერნ. რენანის სხვა ნაშრომის – „რა არის ცხოვრება“ შინაარს ეცნობით ი. ჭყონიას მიმოხილვაში [8, 66]. აქაც ეროვნების განმაპირობებელ მოცემულობად სულიერების ფაქტორი – გრძნობადი სფეროა აღიარებული, რაშიც წარსულისა და აწმყოს განცდის პარამონიული (ერთგვაროვანი) შერწყმა იგულისხმება.

მ. ჯანაშვილის, პ. მირიანაშვილის, ი. ჭყონიას მოსაზრებები ერის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, ახლოს არის ერთმანეთთან, ისინი სულიერ ერთობას ანიჭებენ პრიმატს. უნდა ითქვას, რომ ეს მართლაც აუცილებელი ნიშანია ერისა, მაგრამ იგი ყოველთვის პირველადი კი არ არის, არამედ წარმოებულია სხვა ფუნდამენტური ფაქტორებისაგან, რომლებზეც ზემოთ მოხმობილი მოაზროვნეები ამახვილებენ ყურადღებას.

როგორც ეხედავთ, ქართველი სწავლულები ერის ნიშან-თვისებების უაღრესად ფართო სპექტრს წარმოგვიდგენენ და თითოეული ფაქტორის მნიშვნელობასაც, ძირითადად, სწორი – სუბიექტივიზმისაგან დაზღვეული არგუმენტების მოშველიებით განმარტავენ.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათგან ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, როგორიცაა ეროვნული თვითშეგნება. განსხვავებით შემდეგდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება, ძირითადად, გარკვეული ერისადმი ინდივიდის კუთვნილების შეგნებამდე დაჰყავდა [12, 21], ან მას ვიწრო კლასობრივი პოზიციის (ეროვნული ღირებულებებისადმი დამოკიდებულება) თვალთახედვით განიხილავდნენ (ა. გორიაშვიტი, ნ. მარკოვი ს. ლიხაჩოვი...), ქართველი მოაზროვნეები ამ ტერმინში ფართო შინაარსს დებდნენ და გულისხმობდნენ სამშობლოსა და ეროვნული კულტურის სიყვარულს. მისი ისტორიის ცოდნასა და ეროვნულ-ზნეობრივი ღირებულებებისადმი ერთგულებას.

ასევე, იმ დროის ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის მოთხოვნათა საფუძველზე წავაბრუნებოდა ქართული საისტორიო აზრი ეთნოფსიქოლოგიის პრობლემას. ისინი მიუთითებენ, რომ ყოველი ერის ფსიქიკურ წყობას ახასიათებს თავისებურებები, რომლებიც წარმოიშობა გეოგრაფიული პირობების, სახელმწიფოსა და სამართლის ტიპების, სოციალური ურთიერთობების, კულტურული მემკვიდრეობის, მეზობელ ხალხებთან კავშირის მასშტაბებისა და სხვა ფაქტორთა ზემოქმედებით.

საბოლოოდ, ერისათვის დამახასიათებელ ნიშნებად ისინი თვლიან: ენის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობას, საერთო ისტორიულ ბედს, ერთიან შთამომავლობას, სისხლით ნათესაობას, სახელმწიფოებრივ ერთობას და ა.შ.

ერის ჩამოყალიბების ეტაპების პრობლემის კვლევისათვის დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველ სწავლულთა თვალსაზრისი, რომ ერი, როგორც ისტორიული კატეგორია, წარსულის წიაღში აღმოცენდა და მისი არსებობის განმამტკიცებელი საფუძვლების ცვლილებებით ერის ცნების შინაარსობრივი და პრაქტიკული მხარეებიც იცვლება – მდიდრდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა იდეოლოგიის მკაცრი ზეწოლის (რაც ეროვნების საკითხებზეც ვრცელდებოდა) პირობებშიც კი ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, ი. კაჭარავა და სხვ. ქართველი ერის გენეზისის სათავეს ისტორიის ადრეულ საფეხურებზე ხედავენ.

ლიტერატურა

1. გოგებაშვილი ი. რანი ვიყავით გუშინ. თბილისი, 1990.
2. ვაჟა ფშაველა. თხზულებანი. თბილისი, 1979.
3. მესხი ს. წერილები. თბილისი, 1950.
4. წერეთელი ა. თხზულებათა სრ. კრებული, ტ. XIV. თბილისი, 1961.
5. წერეთელი გ. თხზულებათა სრ. კრებული, ტ. I. თბილისი, 1930.
6. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I. თბილისი, 1937.
7. ჯორჯაძე რ. თხზულებანი, წ. IV. თბილისი, 1911.
8. „დროება“, 1882.
9. „ივერია“, 1901.
10. „კვალი“, 1895.
11. Горячева А. И., Марков Н.Н. Общественная психология. Л., 1979.
12. Козлов В. И. О понятии этнической общности. М., 1967.

რეზიუმე

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოაზროვნეთა პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში არის მეთოდოლოგიურად სწორი გამონათქვამები ერის ნიშან-თვისებებზე: ენის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა, საერთო რელიგია, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციებისა და ხასიათის (ფსიქიკური წყობა) თავისებურებები, საერთო ისტორიული წარსული და ანთროპოლოგიური ნიშნები, სახელმწიფოებრივი ერთობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეს მოდელაჟები ჩამოთვლილი ნიშნების ერთობლიობას ქართველ ხალხში ჩვენი ისტორიის უფრო ადრეულ პერიოდებშიც ხედავენ, რის გამოც, მარქსისტული მოძღვრებისაგან განსხვავებით, ერს არ თვლიან უშუალოდ ბურჟუაზიული ურთიერთობების მეოხებით წარმოქმნილ ერთობად.

Давид Малазония

Грузинское историческое мнение XIX века о классификации признаков нации

Резюме

В публицистическом наследии грузинских мыслителей второй половины XIX века имеются методологически правильные высказывания о качествах нации: единство языка, территории и культуры, общая религия, традиции и особенности характера (психический склад), общее историческое прошлое и антропологические черты, государственная общность и т.д. Следует отметить, что эти деятели единство перечисленных черт грузинского народа увидели еще в более раннем периоде нашей истории, поэтому, в отличие от марксистских пастырей, не считают нацию единством, возникшим с помощью непосредственно буржуазных взаимоотношений.

David Malazonia

The XIX century Georgian Historiography about Classification of Characteristic Features of the Georgian Nation

Summary

The terms used to describe characteristic features of Georgian language, territorial and cultural integrity, religion, customs and traditions, psychological habits, historical past and anthropological signs, as well as the feeling of statehood have been represented methodologically correctly in the works of Georgian scientists and writers of the second half of the XIX century. It should be noted that in those materials proved that the basis of the Georgian nation was not formed in the result of bourgeois relations, as it is considered in Marxist theory, but it had its links to the traditions and customs of the earliest period.